

ქალები ბიზნესში (II ფაზა)

განხორციელების ვადა: 21.12.2021 - 21.12.2027

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის € 8 440 000

წვლილი:

მთლიანი € 76 540 000

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

European Bank for Reconstruction and Development



პროექტის ebrdwomeninbusiness.com

ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

ღონისძიება მიზნად ისახავს ქალთა მენარმეობის, ანუ ბიზნესში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერას ფინანსებზე და ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო არაფინანსურ სერვისებზე წვდომის ხელშეწყობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. პროგრამა მოიცავს ქალებისთვის განკუთვნილ მიზნობრივ საკრედიტო ხაზებს, დანაკარგის ფიქსირებული ოდენობის რისკის დაფარვას და ადგილობრივი ვალუტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტებისთვის (PFI). გარდა ამისა, პროგრამა განახორციელებს PFI-ების პოტენციალის გაძლიერებას და ბიზნეს-კონსულტაციებს, ტრენინგებსა და კავშირების დასამყარებელ აქტივობებს მენარმე ქალებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსალოდნელია, რომ პროგრამა გააუმჯობესებს ფინანსების და ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობას მენარმე ქალებისთვის. პროგრამის ზეგავლენის სრულყოფილი სურათის შესაქმნელად ამ პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები აისახება ლოგიკურ ჩარჩოში, რომელიც მოიცავს პროგრამას, როგორც მთლიანობას.

პროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი ძირითადი შედეგების მიღება:

- პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტებისთვის (PFI) ხელმისაწვდომი გახდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ახალი დაფინანსება 50 000 000 ევროს ოდენობით;
- პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფილი იქნება მინიმუმ 13, და მათ შორის 5 ახალი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტი (PFI);
- პროგრამის ფარგლებში ტექნიკურ დახმარებას მიიღებს მინიმუმ 5 ახალი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტი (PFI).
- პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ქალთა მიერ მართულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გამოიყოფა 60 000 000 ევროს ოდენობის დაფინანსება;
- პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები გასცემენ 3,000 ქვესესხს ქალთა მიერ მართულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე;
- ქალთა მიერ მართული მინიმუმ 264 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო ისარგებლებს ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურებით მათი საჭიროების და სტრატეგიული პრიორიტეტების საფუძველზე, ხოლო მიღებული სარგებელი გაიზომება პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ.